

ხელისუფლება ნახევარი მილიარდი დოლარის პროცენტთან სესხს საპარლამენტო არჩევნებში დახარჯავს?

რა არის ევროობლიგაცია და რა კატასტროფა გვემუქრება ამ ვალით

გაზეთი „ალია“ – 6-7 მარტი, № 28, 2008

საქართველოს ხელისუფლება ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ახალ სესხს იღებს, – ნახევარი მილიარდი დოლარის ევროობლიგაციის გამოშვებას აპირებს. ხელისუფლების ამ აშკარად უცნაურ ნაბიჯთან დაკავშირებით, გარკვეული არგუმენტები ცხადია, მის წარმომადგენლებსაც აქვთ და ოპოზიციასაც კონტრარგუმენტები. ამ ფონზე აღნიშნულ საკითხზე პარლამენტარ ლადო პაპავას კომენტარი, ყველაზე უპრიანად მივიჩნიეთ, რადგან ბატონი ლადო არცერთი პარტიის წევრი არ არის და თავის ოპოზიციურ აზრსაც მუდამ კონსტრუქციული ფორმით აფიქსირებს. „ალია“ ლადო პაპავას ესაუბრა:

– ბატონო ლადო, იქნებ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ევროობლიგაციის გამოშვება და რატომ ითვლება ის საგარეო ვალად?

– ობლიგაცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც იღებს სახელმწიფო სესხად და უნდა გადაიხადოს პროცენტით. ეს ობლიგაციები განთავსდება ევროპის ბაზარზე, ამიტომ, ჰქვია ევროობლიგაცია. იგი სავარაუდოდ ძირითადად ლონდონის ბირჟაზე გაიყიდება, შეიძლება სხვა ბირჟებზეც იყოს განთავსებული.

– რატომ ხართ წინააღმდეგი თუნდაც ამ პროცენტის სესხის აღებისა. ეს ხომ არ იქნება პირველი საგარეო სესხი ქვეყნისთვის, თუნდაც ამ ხელისუფლების პირობებში?

– წინააღმდეგი ვარ იმიტომ, რომ 500 მილიონი დოლარით უნდა გაიზარდოს საგარეო ვალი. თუ არის საჭირო რომ ეს ვალი ავიღოთ, კი

ბატონო, ავიღოთ, მაგრამ, ამის აუცილებლობას, ხელისუფლების ვერცერთი წარმომადგენელი, ვერ ამტკიცებს. არაფერი ისეთი არ ხდება ჩვენს ეკონომიკაში, რომ საგარეო ვალი გაეზარდოს. აქ, საინტერესოდ გამოიკვეთა რამდენიმე მომენტი. პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გურგენიძემ გადაცემა „პრაიმ-ტიმში“ თქვა, რომ ამ თანხით უნდა აშენდეს გაზსაცავი, მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზები, აქ საყურადღებოა, რომ ენერგეტიკის ექსპერტებმა შეაფასეს, თუ გაზსაცავი აშენდება, მაშინ გაზის ღირებულება მაინც იმ ფასს გაუტოლდება, რა ფასადაც ახლა ვყიდულობთ რუსეთისგან. მაშინ, რა საჭიროა გაზსაცავის აშენება? – ბუნებრივად ჩნდება ეს კითხვა. ამდენად გაზსაცავის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ლაპარაკი არც კი შეიძლება.

როცა პარლამენტში ფინანსთა მინისტრი ნიკა გილაური მოვიდა, მას ვკითხე, ამ თანხის გამოყენება როგორ მოხდება-მეთქი? მან თქვა, ეს თანხები აკუმულირებული იქნება მომავალი თაობების ფონდში და სტაბილური განვითარების ფონდში. ეს ის ფონდებია, რომლებიც ჯერ არ შექმნილან და რომელთაც დღეს პარლამენტი იხილავს იმ ე.წ. რეკონსტრუქციურ კანონპროექტს, რომელიც გურგენიძის მთავრობის ინიციატივით იქნა შემოტანილი პარლამენტში. ანუ, კონკრეტულად რაში უნდა დაიხარჯოს ეს თანხა, ნათელი არ არის. პრემიერი ერთს ამბობს და ფინანსთა მინისტრი, სრულიად საპირისპიროს. საყურადღებოა ასევე კონტროლის პალატის დასკვნა, რომელიც 2008 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს ეხება. კონტროლის პალატა ცალსახად აფიქსირებს, რომ მთავრობას უფრო კონკრეტულად უნდა ჩამოეყალიბებინა თუ რაში აპირებს ამ 500 მილიონი დოლარის, ანუ 800 მილიონ ლარის დახარჯვას. კონტროლის პალატა მოითხოვს, რომ ეს თანხა ბიუჯეტში იყოს გაწერილი, რაც ცხადია, არ არის.

– რატომ არ აკონკრეტებს მთავრობა, რაში დახარჯავს ამ ფულს?

– ეს უკვე მთავრობას უნდა ჰკითხოთ. მე ორ კაცს ვკითხე და ორივესგან საპირისპირო პასუხები მივიღე. ხელისუფლება არ აკონკრეტებს ამ ევროობლიგაციას რაში დახარჯავს და ზოგადად, ობლიგაციის თავისებურებაც ეს არის, სხვა საერთაშორისო კრედიტებისგან განსხვავებით. ხელისუფლებას ამ შემთხვევაში რას სთხოვენ, – გეგმას რაში უნდა დახარჯოს ფული. რამდენად მიზნობრივად მოახმარს ამ ფულს კონკრეტულ პროექტებს? საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციები, კრედიტს მხოლოდ

მაშინ გასცემენ, როცა წინასწარ იციან, კონკრეტული სახელმწიფო რაში დახარჯავს თანხებს და ხარჯვით პროცესსაც აკონტროლებს, მიზნობრივობასაც. ევროობლიგაციების შემთხვევაში კი სახელმწიფოს სრული კარტ-ბლანში აქვს, – რაშიც სურს, როგორც სურს დახარჯავს ნახევარ მილიარდს და მომკითხავი არავინ იქნება, გარედაც მაინც. თან, საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო დაბალპროცენტულ სესხს იძლევიან. ეს კი შედარებით ძვირი სესხია. ეს თანხა იქცევა ტვირთად, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას და მომავალ თაობას დააწევბა.

– ამ ევროობლიგაციების ფასი რით განისაზღვრება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეიტინგები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების დონეზე განსაზღვრავს, აისახება ობლიგაციების ფასში?

– ობლიგაციების ერთ-ერთი ნიშანი ისიცაა, რომ წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული პროცენტი. ოღონდ ისეთი, რომელიც მისი პოტენციური მიდევლისთვის მისაღები იქნება. ობლიგაციის ფასი არის ტექნიკურად დასამუშავებელი საკითხი, ამაზე საქართველოს მთავრობა რამდენიმე ბანკთან ერთად მუშაობს და სწორედ ამ ბანკების მეშვეობით განთავსდება ქართული ევროობლიგაციები ევროპის საფონდო ბირჟებზე. აი, იქ ჩამოყალიბდება ობლიგაციების საბოლოო ფასი.

– ძალიან ზედმეტს ხომ არ რისკავს ჩვენი მთავრობა?

– რასაკვირველია, ეს სერიოზული რისკია. მთელ მსოფლიოში ფინანსური კრიზისია და ამ ეტაპზე, ყველაზე არახელსაყრელი მომენტი სესხის ასაღებად, მით უფრო, ასე ძვირი სესხისა. მეორეც, რატომ ვიდებთ ძვირს და არა ჩვეულებრივ სესხს, რომელიმე საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტისგან? სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული და ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლებას ეს ძვირი სესხი, უფრო აწყობს, რადგან მის ხარჯებს არავინ გაუკონტროლებს.

– ზუსტად როდის იგეგმება ამ სესხის აღება?

– ხელისუფლების 50-დღიანი პროგრამით, რომელიც რეალურად 152-დღიანია, დაგეგმილია ევროობლიგაციების ემისია მიმდინარე წლის აპრილში.

– შესაძლებელია, რომ ამ სესხის აღება წინასაარჩევნოდ მოასწროს ამ ხელისუფლებამ და თანხის თუნდაც ნაწილი გამოიყენოს არჩევნებისთვის ფორსირებული გზებითა თუ მეთოდებით?

– ამას თავისებური პროცედურები აქვს, შესაძლოა სრულიად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ მოახერხონ ბაზარზე მისი განთავსება. ეს პოტენციურ მყიდველზეა დამოკიდებული, ხოლო რას მოახმარს ამ თანხას ხელისუფლება, ამას ხომ ვითხარით, ვერაფერს აკონკრეტებს. ვინც აკონკრეტებს, ისინი კი ერთი ერთს ამბობს და მეორე – მეორეს, ლადო გურგენიძეს და ნიკა გილაურს ვგულისხმობ.

ლევან ჯაფხიშვილი